ენის გნოსეოლოგიური პრობლემა ლინგვისტურ ფილოსოფიაში

[1]**გაგოშიძე მანანა,** ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

[2]**ბიწაძე ნატალია,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

[1]სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, [2]თელავის ი.გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

აბსტრაქტი

ენისა და სამყაროს სინამდვილის ურთიერთმიმართების საკითხი მეტად აქტუალური კვლევის საგანია; სხვა საინტერესო ფუნქციებთან ერთად ინტერესს იწვევს ენის გნოსეოლოგიური ფუნქცია, რომლის კვლევაც ფილოსოფიის კომპეტენციას წარმოადგენს. სწორედ შემეცნების თეორიამ უნდა გაარკვიოს ენის როლი სინამდვილის შეცნობის პროცესში. ენის გნოსეოლოგიური ფუნქციის შესახებ ადამიანის რეფლექსია სათავეს მითოსიდან იღებს. ანტიკური დროის ფილოსოფოსები (პლატონი, არისტოტელე) ენის ძირითად დანიშნულებად ნივთთა ბუნების ინტერპრეტაციას მიიჩნევდნენ; შემდგომ პერიოდში, კონკრეტულად ახალ ფილოსოფიაში, მთელი შემეცნება წარმოდგენათა ანალიზსა და მათ შორის ურთიერთობის გარკვევაზე დავიდა, რასაც მოჰყვა ენისა და ყოფიერების ერთგვარი დაცილება. ენობრივ ნიშანთა კვლევის საკითხი შემდგომი ეპოქების ფილოსოფოსთათვისაც აქტუალური იყო. ყურადღება გამახვილდა ნიშნის ფუნქციონალურ თვისებაზე, რომელიც ემყარება რაიმეს შესახებ ინფორმაციის ტარების დანიშნულებას.

ენის გნოსეოლოგიური მნიშვნელობის გააზრებისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ენა არა მხოლოდ მონაწილეობს შემეცნების პროცესში, არამედ იგი აქტიურ გავლენას ახდენს ადამიანის აზრებსა და მოქმედებებზე. კერძოდ, ენას შეუძლია მოახდინოს აზროვნების დეტერმინაცია და ამას აკეთებს კონკრეტული ენა, რომელზეც ადამიანი ლაპარაკობს. არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანის მსოფლმხედველობა და ცხოვრების წესი ლინგვისტურად დეტერმინირებულია, მისი ქვეცნობიერი მოქმედებებიც კი ჩართულია ენის გავლენის სფეროში.

საკვანძო სიტყვები: ლინგვისტიკა, გნოსეოლოგია, დეტერმინაცია, შემეცნება, რიტორიკა.

Abstract

Epistemological problem of language in linguistic philosophy

[1]**Gagoshidze Manana**, PhD, [2]**Bitsadze Natallia,** PhD

Sokhumi State University, Iakob Gogebashvili Telavi State University;

The question of the relationship between language and the reality of the world is a very relevant subject of research; Along with other interesting functions, the epistemological function of language is of interest, the research of which is the competence of philosophy. The theory of cognition must clarify the role of language in the process of knowing reality. Human reflection on the epistemological function of language originates from myth. Ancient philosophers (Plato, Aristotle) considered the interpretation of the nature of things to be the main purpose of language;

In the later period, specifically in the new philosophy, all cognition came down to the analysis of representations and the clarification of the relationship between them, which was followed by a kind of rejection of language and existence. The issue of linguistic signs research was also relevant for the philosophers of later eras. Attention was focused on the functional property of the sign, which is based on the purpose of carrying information about something.

When understanding the epistemological significance of language, it is necessary to take into account the fact that language not only participates in the cognitive process but also actively influences human thoughts and actions. In particular, language can determine thought, and this is done by the particular language that a person speaks. There is an opinion that a person's worldview and lifestyle are linguistically determined, even his subconscious actions are included in the sphere of influence of language.

Keywords: linguistics, epistemology, determination, cognition, Rhetoric.

ენის შემეცნებითი ფუნქციის კვლევას ენის შესახებ პირველი ფილოსოფიური რეფლექსიების გაცნობითა და ანალიზით დავიწყებთ. ამ პრობლემის გაცნობიერება ანტიკურ ფილოსოფიაში დაიწყო. აქ საუბარია მხოლოდ ანტიკურ ფილოსოფოსთა მიხვედრებზე ენის ფილოსოფიის

დარგში და არა რაიმე დამოუკიდებელი, მწყობრი თეორიის ან თვალსაზრისის შესახებ; ამიტომ ენის შემეცნებითი ფუნქციის შესახებ ანტიკური ეპოქის მოაზროვნეთა შეხედულებებს განვიხილავთ იმ ზოგადფილოსოფიური პრობლემების მთლიან სისტემაში, რაც ანტიკურ ფილოსოფიაში ფიგურირებდა. ენის გნოსეოლოგიური ფუნქციის შესახებ ადამიანის რეფლექსია სათავეს მითოსიდან იღებს. მითოლოგიური ცნობიერება არ ანსხვავებს სიტყვას და სახელდებულ რეალობას. ენა და ყოფიერება იქ წარმოადგენს რაღაც იგივეობრივს თავის საფუძველში. მითოლოგიური აზროვნება ყურადღებას ცალკეულ სიტყვებს, უფრო სწორად კი სახელებს აქცევს; ნივთის სახელი თავად ნივთთან მჭიდრო კავშირში გაიაზრება, სახელი არ არსებობს საგნის გარეშე.

ბერძნული აზროვნების ისტორიაში ენაზე პირველი რეფლექსიის გამოვლენად სახელების ეტიმოლოგიის შესახებ გარკვეული წარმოდგენების ჩამოყალიბება მიიჩნევა. საბერძნეთში ფილოსოფიური აზრის განვითარების პარალელურად, მოაზროვნეები ხშირად უბრუნდებოდნენ საკითხს, თუ როგორ წარმოიშვა სახელები - „ბუნებით“ თუ „შეთანხმებით“, სახელები ობიექტების თვისებებს ასახავენ, თუ ისინი ადამიანთა შეთანხმების შედეგია? ამ საკითხით დაინტერესდნენ ანტიკურობის ისეთი დიდი ფილოსოფოსები, როგორებიც იყვნენ ჰერაკლიტე, ანაქსაგორა, პროტაგორა, დემოკრიტე, პლატონი და არისტოტელე. მათი ყურადღება ენასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ, პირველ ყოვლისა, გამოწვეული იყო ანტიკური ეპოქის დიდი ინტერესით მჭერმეტყველების (რიტორიკის) საკითხისადმი. ამ პერიოდის პოლიტიკურ წყობაში სიტყვას და, საერთოდ, მეტყველებას, როგორც ადამიანური ქცევის მართვის სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორს, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. საბერძნეთში დემოკრატიული წყობა პიროვნებებს სიტყვის მეტ თავისუფლებას ანიჭებდა, ყოველივე ეს კი ხელს უწყობდა აზროვნების კულტურის განვითარებას. ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსებმა, განსაკუთრებით სოფისტებმა, დიდი ყურადღება მიაქციეს ამა თუ იმ მოსაზრების (დებულების) დასაბუთებას რიტორიკული მეთოდების საშუალებით. როგორც ისინი ამბობდნენ: ხალხის მასებს, რომელთაც სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში უშუალო მონაწილეობა უნდა მიეღოთ, პოლიტიკურ განათლებასთან ერთად სჭირდებოდა კარგად ლაპარაკის ცოდნა. კარგი ლაპარაკი კი კარგ განათლებას გულისხმობდა; დემაგოგია და ერისტიკა, ე.ი. მოხდენილი სიტყვებით ფარიკაობა, თან ახლდა სოფისტიკას. სოფისტებმა საფუძველი ჩაუყარეს რიტორიკას, გრამატიკას, სტილისტიკას. „მათ შემოიღეს დიალექტიკა, როგორც დავის, კამათის ხელოვნება, სადაც მთავარი ყურადღება ექცეოდა არა აზრის ჭეშმარიტებას და შინაარსს, არამედ ფორმას, როგორც აზრის გადაცემის ხერხს“[1].

არისტოტელე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა რიტორიკული ხელოვნების განვითარებაში, წერდა: „ შეუსაბამობაა, სამარცხვინოდ მივიჩნევდეთ იმას, რომ ფიზიკურად თავდაცვა არ შეგვიძლია, სიტყვით თავდაცვის უუნარობას კი არ ვთვლიდეთ სირცხვილად“[2].

პლატონი, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობდა ზემოთ დასახელებული საკითხების კვლევას, დიალოგში „გორგია“ არკვევს, თუ რა არის მჭერმეტყველების ხელოვნება. ის წერს: „ სოკრატე: მთელი ხელოვნება, ჩემი აზრით, შეიძლება დაიყოს ასე: ერთნი მთავარ ადგილს აკუთვნებენ საქმიანობას და ნაკლებ საჭიროებენ სიტყვას, ზოგი კი საერთოდ არ საჭიროებს მას - რაკი შეუძლია თავისი საქმე სულ მდუმარებაში შეასრულოს, როგორც მაგალითად - მხატვრობა, მოქანდაკეობა და მრავალი სხვა. შენ ალბათ ამ ხელოვნებაზე ამბობ, რომ მათთან მჭერმეტყველებას არავითარი ურთიერთობა არ აქვს... სხვა ხელოვნებანი ყოველივეს აღწევენ სიტყვის მეშვეობით, საქმიანობაში კი, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ სჭირდებათ. მაგალითად, როგორიცაა - არითმეტიკა, ანგარიშის ხელოვნება, გეომეტრია, შაშის თამაშიც კი, და მრავალი სხვა, რომელთა შორის ერთნი თანაბარი ზომით იყენებენ სიტყვას და საქმეს, სხვანი კი - ასეთები უფრო მეტია, - უპირატესად სიტყვას მოიხმარენ და მათი ზემოქმედების ძალა და არსი სიტყვაში ვლინდება. შენ ალბათ ამ ხელოვნებათა რიცხვს აკუთვნებ მჭერმეტყველებას“ [3] აქედან ჩანს, რომ მჭერმეტყველება, პლატონის მიხედვით, სიტყვასთან დაკავშირებული ხელოვნებაა; ამრიგად, მჭერმეტყველება ადამიანს ხელს უწყობს სამყაროს შემეცნებაში. სიტყვა, როგორც რეპრეზენტატი, აზრის გამოხატულება, მონაწილეობს შემეცნების პროცესში.

როგორი მიმართებაა სიტყვას, ე.ი. სახელსა და იმ საგანს შორის, რომლის აზრობრივ გამოხატვასაც იგი წარმოადგენს? საკითხი სახელისა და სახელდებული რეალობის დამოკიდებულების შესახებ, როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, ერთნაირად აქტუალური იყო ფილოსოფიის სხვადასხვა სკოლის წარმომადგენელთათვის. ამ საკითხებთან დაკავშირებით საინტერესოა ატომისტური ფილოსოფიის მთავარი წარმომადგენლის - დემოკრიტეს შეხედულებები. ჯერ კიდევ არისტოტელემ შეაფასა დემოკრიტე, როგორც ყოვლისმომცველი მკვლევარი. სახელისა და სახელდებული რეალობის ურთიერთმიმართების საკითხის განხილვისას დემოკრიტემ ატომებისა და სიცარიელის ურთიერთობის შესახებ საკუთარი კონცეფცია შექმნა. იგი ატომებისა და ცარიელი სივრცის რეალობას აღიარებდა, ხოლო საგანთა გრძნობად-აღქმადი თვისებები სუბიექტურ შთაბეჭდილებებად მიაჩნდა. „ სინამდვილეში არსებობენ მხოლოდ ატომები და სიცარიელე“ [4], „იმის საბუთად, რომ გრძნობად-აღქმადი თვისებები ბუნებრივად არ არსებობენ, გამოდგება ის ფაქტი, რომ ისინი სხვადასხვაგვარად

ეჩვენება ყველა ცოცხალ არსებას, ის რაც ჩვენთვის ტკბილია, ის სხვისთვის მწარეა...“[4] ე.ი. დემოკრიტეს აზრით, ტკბილისა და მწარის, ცხელისა და ცივის შეგრძნებები მხოლოდ პირობითი აღნიშვნებია; მათ რეალურად არაფერი შეესაბამება. სახელები ადამიანთა შორის „შეთანხმებითაა“ წარმოშობილი. ამიტომაა, რომ დემოკრიტესთვის ჭეშმარიტი ცოდნა მიიღწევა გონებით, რომელიც მხოლოდ იმას იმეცნებს, რაც არსებობს ობიექტურად, აბსოლუტურად, თავისთავად, თავისი ბუნებით, ჩვენგან დამოუკიდებლად, ასეთია მაგალითად, ატომი და სივრცე. გრძნობადი აღქმის საფუძველზე კი ჩვენ მოვიპოვებთ ნაკლებ ჭეშმარიტ, ანუ „ბნელ“ ცოდნას. დემოკრიტესთვის სახელები ვერ ახსნიან საგანთა ჭეშმარიტ ბუნებას მათი სუბიექტურობისა და პირობითობის გამო.

ენაში ობიექტური სინამდვილის გამოსახვის შესაძლებლობები განხილვის საგნად იქცა ჰერაკლიტეს ფილოსოფიაშიც. შეუძლიათ თუ არა სახელებს საგანთა ბუნება აგვიხსნან? ამ საკითხზე პასუხი თავად ჰერაკლიტეს მოძღვრების წიაღში ძევს. სინამდვილე, რომელიც ჰერაკლიტესთვის, შეგრძნებებით, აღქმებით და გონებით შეიმეცნება, ცვალებადია; ბუნების ფარული კანონი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა საგანი ბრძოლის წყალობით ცოცხლობს, ყოველივე ბრძოლაში იქმნება და განუწყვეტლივ მდინარებაშია. თითოეული მოვლენა დაპირისპირებულ მხარეთა ერთიანობა და მათი ბრძოლაა. ბუნებაში არსებულ კანონზომიერებას, ლოგოსს უნდა უგდოს ყური ადამიანმა და მხოლოდ ამის მეშვეობით გაიგებს ის სამყაროს , როგორც ის არის. მაგრამ ადამიანთა უმრავლესობას იგი არ ესმის. ჰერაკლიტე ამბობს: „ თუმცა ლოგოსი(სიტყვა) მუდამ არის, ადამიანებს არ ესმით იგი- არც მანამ, სანამ ისინი მას მოისმენენ, არც მოსმენის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე სიტყვისამებრ (ლოგოსის მიხედვით) წარმოიშვა, ადამიანები გამოუცდელებივით იქცევიან, როდესაც ისინი ცდილობენ იცხოვრონ იმგვარი სიტყვებითა და საქმეებით, როგორც მე მათ გადმოვცემ, თითოეულის ბუნებისამებრ განაწილებისას და განმარტებისას, თუ როგორია იგი“[4].

ჰერაკლიტეს აზრით, ლოგოსის გაგების უნარი მხოლოდ ადამიანს აქვს; ლოგოსს ყველა საგანი უნდა შეესაბამოს, რადგან ის ყველასთვის ზოგადია.

რაც შეეხება პლატონს, მისი შეხედულებები ზოგადად ასეთია: სახელი საგნის გამომსახველია (ამსახველია) ასოებისა და ბგერების მეშვეობით. „ხმოვანი“ შედგენილობა აგებულებით ყოველთვის არასრულყოფილია. ზოგჯერ კონკრეტული სახელები ისეთი ბგერებისაგან შედგება, რომ ისინი სემანტიკურად უფრო ეწინააღმდეგება საგნის ბუნებას, ვიდრე შეესაბამება. ასეთ სახელებს ადამიანები სწორად იგებენ მხოლოდ „შეთანხმების“ საფუძველზე. სახელთა

ეტიმოლოგიურმა ანლიზმა პლატონი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საგანთა პირველი სახელმდებლები ზოგჯერ ცდებოდნენ. ამიტომ, ფიქრობს პლატონი, სახელები და, მით უმეტეს, „ბგერა“, როგორც მიბაძვა, არ შეიძლება შემეცნების საშუალებად მივიჩნიოთ. სახელს მეტწილად პირობითი ღირებულება გაანია. თუმცა იგი მთლიანად პირობითი მაინც არ შეიძლება იყოს.

პლატონისთვის ობიექტურ იდაეთა სამყარო იმდენად ღრმაა და ამავე დროს დაშორებული ადამიანებისაგან, რომ მისი შემეცნება მხოლოდ ღმერთებს შეუძლიათ. პლატონის აზრით, ნივთის სახელი იდეალური არსის ერთგვარი ინტერპრეტაციაა; ამიტომ ეს ინტერპრეტაციები შეიძლება ან ახლოს იყოს ან შორს საგნის ჭეშმარიტი ასახვისაგან. განვიხილოთ პლატონის თვალსაზრისი მშვენიერების შესახებ, რომელიც გადმოცემულია დიალოგში „დიდი ჰიპია“. პლატონი წერს: „ზოგჯერ ჩვენ მშვენიერს ვუწოდებთ ერთმანეთისაგან სავსებით განსხვავებულ ნივთებს. მაგალითად, მშვენიერი ქალიშვილი, მშვენიერი ფაშატი, მშვენიერი ლირა, მშვენიერი ქოთანი. მაგრამ პლატონს აინტერესებს არა რომელიმე გრძნობად-კონკრეტული მშვენიერება, არამედ მშვენიერება საერთოდ, მშვენიერება თავისთავად, რომელიც აერთიანებს ამ განსხვავებულ საგნებს. „ შენ გეკითხებიან არა იმას, თუ რას შეიძლება ეწოდოს მშვენიერი, არამედ იმას, თუ რა არის მშვენიერი“ (5). მშვენიერება, პლატონის აზრით, განყენებული ზოგადი იდეაა, რომელიც ამკობს და მშვენიერებას ანიჭებს მასთან წილნაყარ ყველა საგანს. ცნობიერება ცდილობს ამ ზოგადი იდეის, ზოგადი დეფინიციის საშუალებით საგნის არსებას ჩასწვდეს. „ობიექტი-ენა-ცნობიერება“ აი ის გზა, რომელითაც ადამიანი ჭეშმარიტების წვდომას ცდილობს.

რაც შეეხება არისტოტელეს ის ენის ფილოსოფიურ პრობლემას განიხილავდა არა სპეციალურად, არამედ იმ ონტოლოგიურსა და გნოსეოლოგიურ საკითხებთან მიმართებაში, რასაც იგი იკვლევდა. ეს არ იყო შემთხვევითი, რადგან სიტყვა არისტოტელესათვის პირველ რიგში ბგერითი კომპლექსი იყო. ის სულიერი შინაარსი კი, რის ნიშანსაც სიტყვა წარმოადგენს, ენის სფეროს მიღმა იმყოფება.

არისტოტელე ფიქრობდა, რომ ენა არ არის მხოლოდ ადამიანური ფენომენი. ცხოველებსაც აქვთ უნარი ბგერათა გარკვეული კომბინაციით გამოხატონ ემოცია ან მიმართონ ერთმანეთს, მაგრამ ეს მათთან აფექტის დონეზე რჩება. ადამიანური ენა კი საგნობრივი ვითარების რეპრეზენტაციას ახდენს წინადადებებში, მას გააჩნია ფონეტიკურად მოწესრიგებული სტრუქტურა და კომპლექსური კომბინაციების შესაძლებლობა. არისტოტელეს აზრით, ცხოველების ენა ბუნებრივია, მაშინ როცა ადამიანურ ენას კონვენციალური ხასიათი აქვს და სოციალური ფენომენია.

არისტოტელეს ფილოსოფიაში, სადაც ფორმისა და მატერიის შესახებ მსჯელობები მისი მოძღვრების ძირითად დებულებებს წარმოადგენს, ლინგვისტურ ელემენტებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. კითხვაზე, თუ რა არის სიტყვები, იგი პასუხობდა, რომ ეს არის ადამიანის სულის მოძრაობების სიმბოლოები, ხოლო დაწერილი სიტყვები არ არის ყველა ადამიანისთვის საერთო, მაგრამ სულის მოძრაობები ყველასთვის ერთი და იგივეა. თუ რა ესმის არისტოტელეს სულის მოძრაობებში, ბოლომდე ნათელი არ არის. არისტოტელე იკვლევდა ცნებებს, წინადადებების სტრუქტურას, „ტოპიკაში“ აყალიბებდა არგუმენტაციის თეორიას. ხშირად თავის თვალსაზრისს ასაბუთებდა ისეთი მოსაზრებებით, რომელთაც ლინგვისტური ხასიათი აქვთ. არისტოტელე კარგად ამჩნევდა იმ საშიშროებას, რომელსაც წარმოშობს ენა აზროვნების პროცესში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ანტიკური აზროვნება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ენის როლს შემეცნების პროცესში. ენის შემეცნებითი ფუნქციის კვლევას ანტიკურ ფილოსოფიაში დასაბამი მიეცა, მაგრამ მნიშვნელოვანი შედეგები ჯერ კიდევ არ ყოფილა მოპოვებული. მიუხედავად ამისა, პრობლემა, რომელიც ანტიკურ ფილოსოფიაში გამოიკვეთა, შემდგომი ეპოქების აზროვნებაში სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

ლიტერატურა:

1. **წერეთელი ს. ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, ტ.I, თბ. 1965**
2. **არისტოტელე, რიტორიკა, თბ.1981 (1. 34-35)**
3. **Диалоги Платона**. **Горгий**. **www.nsu.ru/biblioteca/plato 01/gorgi.htm**
4. Материалисты Древней Греции**. М. 1955**
5. **პლატონი. იონი, დიდი ჰიპია, მენონი, თბ., 1974**